გამოცემის 103-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№ 37 (25.061) შაბათი, 8 - 10 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი

**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით, მაღალ მთაში - თოვლჭყაპი, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდამთიან რაიონებში - 8-13, მაღალ მთაში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი იუსი

ჩვენი მთავარი ამოცანა არის რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება, უფრო მეტი პროექტების განხორციელება და გვჯერა, ასეთი თბილი მეგობრობით, ძმობით ძალიან ბევრ პროექტს განვახორციელებთ, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ. პრემიერის განცხადებით, საქართველოს და აზერბაიჯანს აქვს დიდი პოტენციალი, რომ ევროპას მწვანე განახლებადი ენერგია მიაწოდოს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. „ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, ჩვენ ორივე ქვეყანამ მეტი ინვესტიცია უნდა ჩავდოთ“, - აღნიშნა აზერბაიჯანში ვიზიტით მყოფმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

საქართველოს მოქალაქეებზე, ქართველ მოსამართლეებზე პიროვნული შეტევა და მათზე კორუმპირებული მოსამართლეების იარლიყების მიწებება არის აბსოლუტურად მიუღებელი, პარტნიორები ასე არ იქცევიან, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა აშშ-ის ელჩ კელი დეგნანთან გამართული შეხვედრის შემდეგ. მისივე განცხადებით, ელჩმა თქვა, რომ ეს არ არის სანქცია, ეს არის სავიზო შეზღუდვა და ენობრივი თარგმანის პრობლემა იყო. „სამწუხაროა, რომ ძალიან ბუნდოვანიცაა ეს ბრალდება, რა პერიოდს ეხება, რა საკითხებს ეხება, რატომ ეხება. ყველაფერი არის გაუგებარი“, - დასძინა პაპუაშვილმა.

* * *

სახალხო დამცველი ენგურის ხიდისა და საბერიო-ფახულანის ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვასთან დაკავშირებით, ხელისუფლებას მოუწოდებს, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, აწარმოოს მოლაპარაკებები, რათა საოკუპაციო რეჟიმმა დაიცვას მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება. როგორც ცნობილია, ენგურის ხიდი დაიკეტა. ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით, „მესაზღვრეები“ ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე არ უშვებენ, ხოლო მათ, ვინც ამჟამად ამ ტერიტორიაზეა, შეუძლიათ აფხაზეთში დაბრუნდნენ.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარის მიერ შემოღებული აკრედიტაციის წესი არის ცენზურა, რომელიც მიზნად ისახავს ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალის შინაარსში ჩარევას, - აცხადებენ ოპოზიციონერი დეპუტატები თეონა აქუბარდია, ხათუნა სამნიძე და თამარ კორძაია. ისინი ტელეკომპანია „ფორმულას“, „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციის შეჩერებას გამოეხმაურნენ და მოუწოდეს პარლამენტის თავმჯდომარეს, გააუქმოს ბრძანება, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიის მთავარ პრინციპებს.

მოამზადა
ია შველიძემ

# პრიორიტეტად რჩება განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში სამუშაო თათბირი გამართა. შეხვედრაზე სამინისტროს მიერ 2023 წელს დაგეგმილი პროგრამები განიხილეს. მაია ხაჯიშვილმა მთავრობის თავმჯდომარეს განათლების, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის, სპორტის მიმართულებით განსახორციელებელი პროგრამების შესახებ დეტალური გეგმა წარუდგინა.*

ათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

აჭარაში მიმდინარეობს 80 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია. შენდება განათლებისა და მეცნიერების ქალაქი. იწყება სტუდენტთა საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა, რომელიც 1000 სტუდენტზეა გათვლილი. 2023 წელს აჭარაში გაიმართება 300-ზე მეტი კულტურული ღონისძიება, ასევე, საერთაშორისო დონის ფესტივალები. გაგრძელდება ავარიულ მდგომარეო-

და პროექტების დაფინანსება კიდევ უფრო გაიზრდება. ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ბიუჯეტი 40%-ით გაიზარდა, შესაბამისად გაგრძელდება სტაჟირებისა და პროფესიული განვითარების პროგრამები.

ასევე, გაიზარდა სპორტის დაფინანსება და ხელშეწყობა, სპორტსმენებს აქვთ მნიშვნელოვანი შედეგები - მოიპოვეს 289 მედალი, მათ შორის 96 ოქრო. აჭარის განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ შეხ-



აჭარის მთავრობის მეთაურის განცხადებით, პრიორიტეტად რჩება ახალგაზრდების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, გან-

ბაში არსებული ძეგლების აღდგენა და ურბანული შენობების რეაბილიტაცია.

მთავრობის მეთაურის თქმით, ახალგაზრდული პოლიტიკის მხარდაჭერა, ინიციატივებისა

ვედრას აჭარის მთავრობისა და სამინისტროს ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

**აჭარის მთავრობის პრესსამსახური**

## «თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალი 2023» გაიმართა

2

## მოსალოდნელია თუ არა საქართველოში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება?

3

## 9 აპრილი: ახალი ფურცელი - ისტორიაში

4

## მალე ყველა ძაღლი დაიჩიპება, კანონპროექტი უკვე მუშავდება

6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# „თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალი 2023“ გაიმართა

ნაილე ხერთვისელი 27 48 93



***ბათუმში, საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, „თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალი 2023“ გაიმართა, რომელსაც აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე დაესწრო***

- თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალს სიმბოლური დატვირთვა აქვს. აგრეთვე, მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ჩვენს რეგიონში დარგის პოპულარიზაციას, მეთევზეობის და აკვაკულტურის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, - აღნიშნა თავის გამოსვლაში მინისტრმა ზაზა შავაძემ.

ფესტივალი დატვირთული იყო კულინარიული, თევზმოშენების, თევზის კვებითი ღირებულების, სპორტული და სამოყვარულო თევზჭერის მასტერკლასებით და სხვა საინტერესო თემატიკით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ფერმერული მეურნეობები, თევზისა და ზღვის პროდუქტების რეალიზაციაში მონაწილე ფიზიკური პირები, რესტორნები, პროფესიული სასწავლო კოლეჯები და სხვა.

ფესტივალის მხარდამჭერები იყვნენ აჭარის მთავრობა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია, ბათუმის ბულვარი, ღონისძიების ორგანიზატორი - „ორგანული აკვაკულტურის ასოციაცია „ფორეჯი“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის წევრები და სხვა ოფიციალური პირები.

# ბათუმი რიგით მე-14 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას უმასპინძლებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

***„ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის'“ რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენა EBIT 2023-თან დაკავშირებით, აჭარის ტურისტული სექტორის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. მონაწილეებს მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია საგამოფენო კომპანია EXPO BATUMI-ს საქმიანობასა და ამ გამოფენასთან დაკავშირებით***

გამოფენა EXPO BATUMI-ს ორგანიზებით, 19-21 მაისს ბათუმის სპორტის სასახლეში გაიმართება. მისი მიზანია ტურისტული კომპანიების ერთ სივრცეში გაერთიანება, ინოვაციებისა და ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ბიზნესკონტაქტების მოძიება და სამომავლოდ საქმიანი ურთიერთობების გაგრძელება.

გამოფენის მხარდამჭერი აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტია. მისმა ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის და ამადროულად, როგორც შიდა, ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისთვის.



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტსა და გამოფენის ორგანიზატორ „Expo Batumi International Tourism And Event Company“-სთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ტურიზმის ფაკულტეტის 60-მდე სტუდენტი გამოფენის საორგანიზაციო პროცესში ჩაერთვება და ერთთვიან პრაქტიკას გაივლის. სტუდენტთა ჩართულობის მიზანია ტურიზმის სფეროში პროფესიული უნარების განვითარება და პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი კომპეტენციების მიღწევა, რეალურ სამუშაო გარემოში ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმა, თეორიული ცოდნის პრაქტიკული აპლიკაცია.

პრაქტიკის დასასრულს სტუდენტებს გადაეცემათ სერტიფიკატები და ორდღიან ტურში - „მოგზაურობა სინოპში“ მიიღებენ მონაწილეობას.

# 10 წარმატებულს შორის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის პედაგოგები ჯერ „ეტალონის“ გამარჯვებულის დიპლომით ლადო ფუტკარაძემ გაახარა, ახლა კი სკოლას კიდევ ერთი აღიარება მეთორმეტეკლასელმა თამაზ შანიძემ მოუტანა***

მან 2022-2023 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ფინალურ ტურში, ისტორიის საგანში გაიმარჯვა. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის დებულების შესაბამისად, გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც დააგროვებს შესაბამისი საგნის ტესტის მაქსიმალური ქულის 60 პროცენტს და მოხვდება შესაბამისი კლასისა და საგნის რეიტინგული სიის პირველ ათ მონაწილეს შორის. თამაზ შანიძემ დააგროვა ტესტის მაქსიმალური ქულის 72 პროცენტი და მისი შედეგი მეოთხე იყო. გამარჯვებულები დიპლომებით, სერტიფიკატებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან და საქართველოს სახელით საერთაშორისო ოლიმპიადებში მიიღებენ მონაწილეობას.

შუახევის რესურსცენტრისა და სხალთის ეპარქიის ხელმძღვანელები თამაზს, მის ისტორიის მასწავლებელ მელანო ზოიძეს და სკოლას მიღწეულ წარმატებას ულოცავენ.



# ქედიდან – იტალიაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ბადალი არ მოეძებნება ქედაში დაწურულ ჩხავერისა და ცოლიკაურის ღვინოს, აქ დამზადებულ ჩირსა და ჩურჩხელას, მეცხოველეობის პროდუქტებს. სწორედ ეს ჩაიტანეს ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ და ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის დირექტორმა რაულ ცინცაძემ იტალიაში, ბერგამოს სოფლის ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე.

გამოფენის ორგანიზატორებს, დამთვალიერებლებს აჭარის სტენდთან ქართული ღვინის, ჩირის, ყველისა და ჩურჩხელის დაგემოვნების საშუალება ჰქონდათ.

აჭარის ტურისტულ პროდუქტებსა და სერვისებს იტალიაში, ბერგამოს სოფლის ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე, პოპულარიზაციას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო და ქედის მერიის წარმომადგენლები უწევდნენ.




გამოფენის მონაწილეთა წინაშე კონცერტით წარსდგა იტალიაში ქართველი ემიგრანტების ანსამბლი „სტუდია ჯორჯია“, რომლის რეპერტუარში ქართული ფოლკლორის ნიმუშებია.

## ამბები

# 8 ლოკაცია – ფერმერებისთვის

ხატია იაშვილი 555 18 48 88

საქართველოს მთავრობამ „საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი დაამტკიცა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარდგენილი პროექტი ითვალისწინებს აჭარის, სამეგრელოს და გურიის სანაპირო ზოლში 8 ლოკაციის გამოყოფას, სადაც, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით, შესაძლებელია აკვაკულტურის ფერმების - თევზის (3 ლოკაცია) და მოლუსკის (5 ლოკაცია) მოწყობა.

როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ აღნიშნა, აკვაკულტურის დარგის განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს. ზონების პროექტის დამტკიცების შემდეგ, დაგეგმილია მისი მართვის გეგმებისა და ინვესტორთა წინადადებების განხილვის საფუძველზე, დამატებითი სანებართვო პირობების განსაზღვრა და აკვაკულტურის ნებართვების გაცემა, რაც გააჩენს ამ მიმართულებით მსხვილი ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას. ეს იძლევა ათეულათასობით ტონა თევზისა და სხვადასხვა სახეობის ზღვის პროდუქტის წარმოების და, ეტაპობრივად, დაახლოებით, ასეულობით მილიონი დოლარის საექსპორტო პოტენციალის ათვისების შანსს.

„გვაქვს შესაძლებლობა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვაწარმოოთ მეტი პროდუქცია, რათა, პირველ რიგში, დავაკმაყოფილოთ ადგილობრივ ბაზარზე არსებული მოთხოვნა, დავასაქმოთ უფრო მეტი ადამიანი და რა თქმა უნდა, გავზარდოთ მნიშვნელოვნად საექსპორტო შესაძლებლობები“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

„აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საზღვაო წყლებში აკვაკულტურის წარმოება დასაშვებია მხოლოდ მისთვის გამოყოფილ ზონებში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სივრცის დაგეგმარების ფარგლებში, სამეცნიერო, სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. პროექტით წარმოდგენილი აკვაკულტურის ზონები არ მოიცავს დაცულ ან აკრძალულ ზღვის უბნებს.

აღსანიშნავია, რომ აკვაკულტურის ზონების ძირითადი რეკომენდაციები სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა (FAO) და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით, ასევე, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით მომზადდა.

ზონების დადგენა ხელს შეუწყობს საქართველოში აკვაკულტურის დარგის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

# ფოლკლორული საღამო – ქედაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93



*ქედის კულტურის ცენტრში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროექტის „გუდასტვირის ტრადიცია ევროპაში“ ფარგლებში, ფოლკლორული საღამო გაიმართა.*

*საღამოში მონაწილეობდნენ გუდასტვირსა და ჭიბონზე შემსრულებლები საქართველოდან, ლატვიიდან, ხორვატიიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, სლოვაკეთიდან, მასპინძელი ანსამბლები: „ელესა“, „მოყვარე“, „იაგუნდი“, ასევე, ცხმორისის მეხორუმეთა ჯგუფი და მეჭიბონეები მურად თავართქილაძე და თემურ არძენაძე, შორენა ხალვაში და თამაზ ნაკაშიძე.*

*ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ფოლკლორული ნიმუშებით წარსდგა მაყურებელთა წინაშე.*

*პროექტის მიზანია დაიცვას და ხელი შეუწყოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (აკმ) - გუდასტვირის დამზადებასა და მასზე დაკვრის ტრადიციის პოპულარიზებას.*

*ღონისძიებას ქედის მერის მოადგილე მამუკა ფარტენაძე და განათლების, კულტურის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია ესწრებოდნენ.*

*პროექტი ხორციელდება ერასმუს + პროგრამის „გუდასტვირზე შემსრულებელთა ევროპული ქსელი“ ფარგლებში.*

# მოსალოდნელია თუ არა საქართველოში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*რამდენად ვართ მზად ევროსტრუქტურებში გასაერთიანებლად და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ამას მივაღწიოთ? ამ კითხვებს სულ უფრო ხშირად სვამენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ მოსახლეობა. ისიც ცხადია, რომ პრობლემური საკითხების გადაჭრა გარკვეულწილად, ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხზეა დამოკიდებული. სწორედ ამ მიმართებით აქტიურობს დასავლეთი და ქართულ პოლიტიკურ სპექტრს 12 პუნქტის შესრულებისკენ მოუწოდებს.*



ჩვენს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სურათს თუ სიღრმისეულად გავაანალიზებთ, უმნიშვნელოვანეს დასკვნამდე მივალთ: არაოფიციალური საარჩევნო მარათონი მიმდინარეობს. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, გადაადგილებებია პოლიტიკურ ველზე, ზოგი პარტია იშლება, ზოგი კოალიციურ ტრიოს აყალიბებს, ზოგიც ეპისტოლარულ ჟანრში ესაუბრება თანამოქალაქეებს და ა. შ. მმართველი პარტია რეგიონებში ტურნეს აგრძელებს, მოსახლეობას სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე ესაუბრება და ოპოზიციის ნაწილს დესტრუქციულ ძალად მოიხსენიებს. ქვეყნის პრეზიდენტი სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს ხელისუფლებას. „თქვენ დაშორდით ხალხს და ანტიდასავლურ რიტორიკას ალვივებთ“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. მის სიტყვებს გამოეხმაურა პარლამენტარი მამუკა მდინარაძე: „ახია ჩვენზე, თქვენ რომ მხარი დაგიჭირეთ არჩევნებში“ - ასეა - „რაც დღეს ვიყავით, ხვალ ისეთები აღარ ვიქნებით“, მით უფრო პოლიტიკაში, ქართული პოლიტიკა ამის თვალსაჩინო მაგალითია. არახალია ოპოზიცია რომ აკრიტიკებს ხელისუფლებას, მისი მოვალეობაა, აკონტროლოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ხოლო რამდენად სამართლიანად და თანმიმდევრულად აკეთებს ამას, სხვა საკითხია. ცნობილია, რომ იდეალური მმართველობა არ არსებობს, მით უმეტეს თუ ქვეყანას მრავალი გამოწვევა აქვს. ქვეყანაში რომ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს, საკამათო როდია, ამას აცხადებენ ექსპერტებიც, თუმცა არც მთლად უიმედო სიტუაციაა, - ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელიც მეტ-ნაკლებად თავსართმევს დაკისრებულ მოვალეობას, შესაძლებლობის ფარგლებში აკეთებს საქმეს. ბევრი რამ გამოსდის, ბევრიც შეიძლება არ გამოუვიდეს, თუმცა მთავარი ის არის, რომ ქვეყანაში წესრიგი შენარჩუნებულია, მიუხედავად იმისა, რომ მარტის დასაწყისში ანტისახელისუფლო დემონსტრაციები იმართებოდა.

ამჟამად ოპოზიციური სპექტრის განხილვის საგანია „ნაცმოძრაობის“ 9 აპრილისთვის დაანონსებული მიტინგი. როგორც თავად ამბობენ, მანამდე არ დაიშლებიან, ვიდრე მათი მოთხოვნები (სააკაშვილის უცხოეთის კლინიკაში გადაყვანა, ევროკავშირის 12 პუნქტის შესრულება) არ დაკმაყოფილდება. ამ პირობამ ოპოზიციაში განხეთქილება გამოიწვია. „ჩვენ არ ვუერთდებით „ნაცმოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ მიტინგს. მათი მესიჯები გარკვეულწილად, პარტიულია“, - აღნიშნავენ „ევროპული საქართველოს“ და „ლელო საქართველოსთვის“ წევრები, ასევე გიორგი გახარიას პარტიაზე. „ნაცმოძრაობაში“ რომ არასახარბიელო მდგომარეობაა, სხვა გარემოებებიც ცხადყოფს, მაგალითად, ხატია დეკანოიძემ პარტია დატოვა. ვინ დაადგება მის კვალს, ამას უახლოესი მომავალი დაგვანახებს. კარგია თუ ცუდი, რომ „ნაცმოძრაობა“ კვლავ აგრძელებს პოლიტიკურ ცხოვრებას? ამ კითხვას სვამენ ექსპერტები. მათი თქმით, ხელისუფლებას აძლევს ხელს „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ არენაზე დარჩენა, რათა პოლიტიკური გარემო პოლარიზებული იყოს, არ შეიქმნას ახალი ძალა, რომელიც მიუმხრობელ ამომრჩეველს მიიმხრობს. „ენდიაის“ ბოლო კვლევით, გამოკითხულთა 61 პროცენტი აცხადებს, რომ მის შეხედულებებთან ახლოს არცერთი პარტია არაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა პარტიამ უნდა მიიზიდოს ეს ამომრჩეველი არჩევნებზე, რომელიც 2024 წელს პროპორციული სისტემით ჩატარდება. ეს გარკვეულწილად, ოპოზიციას აძლევს შანსს, რომ პარლამენტში სოლიდურად იყოს წარმოდგენილი. ისმის კითხვა - მოსალოდნელია თუ არა კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება ქვეყანაში? ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელი დარჩა და ძნელია პროგნოზი, თუმცა გარკვეული დასკვნის გაკეთება შეიძლება. ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია არჩევნებზე მოსახლეობის რა რაოდენობა მივა. თუ მოსახლეობამ ინერტულობა გამოიჩინა, ეს მმართველი გუნდისთვის იქნება ხელსაყრელი. იმასაც მნიშვნელობა აქვს, დაიშვება თუ არა ბლოკების შექმნა. თუ კოალიციების ჩამოყალიბება არ შეიზღუდება, ეს ოპოზიციის წისქვილზე დაასხამს წყალს.

განვიხილოთ ქართული პოლიტიკის მთავარი აქტორები. დავიწყოთ მმართველი გუნდით. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მეთერთმეტე წელია, მან არჩევნები 2012, 2016 და 2020 წლებში მოიგო. მანამდე მსგავსი რამისთვის საქართველოში არცერთ პარტიას არ მიუღწევია. „მრგვალი მაგიდა“ ერთი წელი მართავდა ქვეყანას. მისი მმართველობა კრემლის ინიცირებით და მხარდაჭერით დაამხეს; „მოქკავშირის“ მმართველობა 10 წელი გრძელდებოდა; „ნაცმოძრაობის“ - 9 წელი. „ქართული ოცნების“ მთავარი მოწინააღმდეგე ადრეც და ახლაც „ნაციონალური მოძრაობაა“, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა: მიხეილ სააკაშვილი საპატიმროშია, ნიკა მელია გადაირჩიეს პარტიის თავმჯდომარის თანამდებობიდან, რამდენიმე გავლენიანმა ლიდერმა დატოვა პარტია (ნონა მამულაშვილი, ხატია დეკანოიძე...), საუბრობენ მერაბიშვილის ფარულ გავლენაზე პარტიაში, ამჟამინდელი თავმჯდომარე ხაბეიშვილი კი ნომინალური ლიდერია და ა.შ.

რაც შეეხება 9 აპრილის მიტინგს და საყოველთაო დაუმორჩილებლობის კამპანიას, ნათელია, რომ მის სათანადო წარმართვას სჭირდება ერთი მხრივ, გამოკვეთილი ლიდერი, როგორიც იყო გამსახურდია და ასევე - მთელი ოპოზიციური სპექტრის ერთობა, რაც მთავარია, მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა, რაც ამ ეტაპზე არ იკვეთება. ამასთან დაკავშირებით ოპოზიციურმა სპექტრმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „ნაცმოძრაობა“, ფუჭი დაპირებები დაუწუნა და მოუწოდა დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებთან კოორდინირებულად იმოქმედონ.

*„მმართველ პარტიასთან კოალიციური მთავრობის შექმნას გამორიცხავენ ოპოზიციური ძალები. ამ მხრივ „ქართულ ოცნებას“ ეიმედება „ხალხის ძალის“. თუ ამ პარტიამ მომავალ არჩევნებში დაახლოებით 11 პროცენტი აიღო, მაშინ მმართველი პარტია (მოსახლეობის 40 პროცენტის მხარდაჭერის პირობებში) შეძლებს მთავრობის დაკომპლექტებას, მაგრამ ექსპერტები „ხალხის ძალის“ შანსებს არჩევნებში მიზერულად აფასებენ, თუმცა ვინ იცის, შესაძლოა მმართველი გუნდის გვერდით ისეთი პარტია დადგეს, ადრე რომ ვერ წარმოვიდგენდით*

თავის მხრივ, მმართველ პარტიასაც შეექმნა პრობლემები: პარტია დატოვა „ძველმა გვარდიამ“: ეკა ბესელიამ, ზვიად ძიძიგურმა, დავით ჭიჭინაძემ და სხვებმა... გარდა ამისა, მმართველ ძალას, როგორც ვთქვით, ხშირად აკრიტიკებს ქვეყნის პრეზიდენტი, ეს მეტწილად, გამოიწვია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის არმინიჭებამ და მმართველი პარტიის ზოგიერთი წევრის ანტიდასავლურმა რიტორიკამ. ამის გამო დასავლეთისგან გაისმა კრიტიკა. ამ მხრივ, ფართო განხილვის საგანია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება ოთხ ქართველ მოსამართლესთან დაკავშირებით, რომლებსაც სანქცია დაუწესდათ, რაც ოპოზიციის თქმით, ხელისუფლებისთვის ყვითელი ბარათის ჩვენების ტოლფასია. ცხადია, მმართველი გუნდის წევრები ამას არ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი შეცდომაშია შეყვანილი. მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ანგარიშგასაწევი ძალაა. თუ სოციოლოგიურ გამოკითხვებს ვენდობით, მმართველი პარტიის რეიტინგი 30 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც ცუდი მაჩვენებელი არ არის. თუ ამას დავუმატებთ ადმინისტრაციულ რესურსს, მაშინ, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვება არ გაუძნელდება, მაგრამ ახალი საარჩევნო რეალობის გათვალისწინებით, საპარლამენტო არჩევნებში პირველი ადგილი ბევრს არაფერს ნიშნავს. თუ 51 პროცენტს ვერ მიიღებ, მაშინ მთავრობის ჩამოყალიბება გაგიჭირდება. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო.

მმართველ პარტიასთან კოალიციური მთავრობის შექმნას გამორიცხავენ ოპოზიციური ძალები. ამ მხრივ „ქართულ ოცნებას“ ეიმედება „ხალხის ძალის“. თუ ამ პარტიამ მომავალ არჩევნებში დაახლოებით 11 პროცენტი აიღო, მაშინ მმართველი პარტია (მოსახლეობის 40 პროცენტის მხარდაჭერის პირობებში) შეძლებს მთავრობის დაკომპლექტებას, მაგრამ ექსპერტები „ხალხის ძალის“ შანსებს არჩევნებში მიზერულად აფასებენ, თუმცა ვინ იცის, შესაძლოა მმართველი გუნდის გვერდით ისეთი პარტია დადგეს, ადრე რომ ვერ წარმოვიდგენდით, ცხოვრება ხომ მოულოდნელობითაა სავსე...

ახლა მიმოვიხილოთ ოპოზიციური ძალები და მათი შანსები. როგორც ვიცით, მთავარი აქტორი „ნაცმოძრაობაა“, მისი ამომრჩეველი 2016 წლის არჩევნებთან შედარებით მატულობს, რაც გამოჩნდა ადგილობრივ და საპრეზიდენტო არჩევნებში. გრიგოლ ვაშაძემ ზურაბიშვილთან მეორე ტურში წააგო. ამ პარტიის მაჩვენებელი 20-25 პროცენტამდე მერყეობს. ბოლო ადგილობრივი არჩევნები ამის მკაფიო მაგალითია. მესამე ძალაზე პრეტენზიას რამდენიმე პარტია აცხადებს. მაგალითად, გახარიას პარტიამ „საქართველოსთვის“ 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა ამჟამად მისი რეიტინგი დაახლოებით, 5 პროცენტია. როგორც მოწინააღმდეგეები ამბობენ, გახარიამ თავისი პრემიერობის დროს ვერ აუხსნა ამომრჩეველს - რატომ ვერ ააშენა ქვეყანა და რატომ დათხარა თვალები მომიტინგეებს 20 ივნისის აქციაზე. სავარაუდოდ, მესამე ძალაზე პრეტენზიას „სტრატეგია აღმაშენებლის“, „დროას“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ ტრიო განაცხადებს, რომ აღარაფერი ვთქვათ, პარტიაზე „ლელო საქართველოსთვის“. მათი თქმით, არჩევნებში მნიშვნელოვან შედეგს დადებენ, რადგან დეტალურად ჩამოყალიბებული კონცეფცია აქვთ ქვეყნის განვითარების კუთხით და ამას მიიტანენ ამომრჩევლამდე. საიმისოდ, რომ შეძლო შენი აზრი მოსახლეობამდე მიიტანო, მედიასივრცე ათვისებული უნდა გქონდეს. მედია მნიშვნელოვანი კომპონენტია. რეგიონებში, სოფლებში მოსახლეობა ძირითადად - ტელევიზიასაა მიჯაჭვული, ამიტომ ელექტრომედიის გონივრულად გამოყენება აქტუალურია. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამომრჩეველთან ცოცხალი ურთიერთობა გადამწყვეტია. რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრები ახლა პარტიების მთავარი საზრუნავი უნდა იყოს, მაგრამ ოპოზიცია გარკვეულწილად, ფრაგმენტირებულია და ძირითადად, შიდა დაპირისპირებითაა დაკავებული. რაც შეეხება მესამე ძალის შექმნას, ექსპერტთა თქმით, მესამე პოლიტიკური ძალა ყოველთვის მმართველი გუნდის ბირთვში იქმნება, ან ყოფილი მმართველი პარტიის წევრებისგან კომპლექტდება. ეს, ერთი მხრივ, პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებას იწვევს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს ტრადიციული სახეების შენარჩუნებას პოლიტიკაში, რაც განაპირობებს ქვეყნის ამჟამინდელ რეალობას - ჩამოუყალიბებელ სამოქალაქო საზოგადოებას, ინდიფერენტულ მოქალაქეებსა და პოლარიზებულ გარემოს, რაც ქვეყნის განვითარებას აფერხებს. სწორედ ამ კუთხითაა გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები დასავლეთის მხრიდან.

უდავოა, რომ 2024 წლის არჩევნების მოზაიკა მეტწილად კანდიდატის სტატუსის მიღებასთან იქნება დაკავშირებული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეკონომიკური მდგომარეობა და დემოკრატიის ხარისხი, ანუ თუ მთავრობა შეძლებს, ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოებრივ გამოწვევებს, მაშინ არჩევნებში მისი გამარჯვებას შესაძლებელი იქნება, ხოლო რაც შეეხება ოპოზიციას, მათ გასაგებ ენაზე დაწერილი პროგრამები უნდა შესთავაზონ მოსახლეობას და არა პოპულისტური დაპირებები.

## უცხოეთი

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჟოზეფ ბორელი მომდევნო კვირას ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. აღსანიშნავია, რომ პეკინში უკვე იმყოფებოდნენ და ჩინეთის ლიდერ სი ძინპინს შეხვდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი. მათ მოუწოდეს სი ძინპინს, გამოიყენოს თავისი გავლენა რუსეთზე უკრაინაში ომის დასასრულებლად. გარდა ამისა, გასულ კვირას ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ესპანეთის პრემიერ-მინისტრი პედრო სანჩესი. ევროპელი ლიდერები განსაკუთრებით გააქტიურდნენ ჩინეთის ლიდერის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ.

* * *

„სი-ენ-ენმა“ ახალი გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმად ამერიკელთა მხოლოდ 1/3 მიიჩნევს, რომ მოქმედი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი 2024 წელს ხელახლა არჩევას იმსახურებს. გამოკითხვა მარტში მიმდინარეობდა და მანამდე დასრულდა, ვიდრე ექსპრეზიდენტ დონალდ ტრამპს ბრალს წაუყენებდნენ. აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე ბაიდენის საქმიანობას დადებითად აფასებს რესპონდენტთა 42%, ხოლო უარყოფითად - 57%. გამოკითხულთა მხოლოდ 32% მიიჩნევს, რომ 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბაიდენი ხელახლა არჩევას იმსახურებს.

* * *

აშშ, გერმანია და უნგრეთი ეწინააღმდეგებიან ზოგიერთი ევროპელი მოკავშირის მცდელობებს, ვილნიუსის სამიტზე უკრაინას ნატოს წევრობის საგზაო რუკა შესთავაზონ. კერძოდ, გამოცემა „ფაინენშელ ტაიმსის“ ინფორმაციით, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები ცდილობენ, შესთავაზონ უკრაინას ნატოსთან უფრო ღრმა კავშირები. გამოცემის ცნობით, ალიანსის ყველა წევრი თანხმდება, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანებაზე სერიოზულად საუბარი არ შეიძლება, სანამ უკრაინაში ომი გრძელდება. ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც განიხილება, ნატო-უკრაინის არსებული კომისიის ნატო-უკრაინის საბჭოს დონემდე გაზრდაა - ნაბიჯი, რომელიც აამაღლებს უკრაინის როგორც ალიანსის პარტნიორის სტატუსს.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თურქი კოლეგის მევლუთ ჩავუშოღლუს მიწვევით ანკარაში ჩავიდა. „განვიხილეთ მარცვლეულის შეთანხმების განხორციელების საკითხი. შეთანხმების გაგრძელება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რუსეთიდან და უკრაინიდან მარცვლეულისა და სასუქის გატანისთვის, არამედ გლობალური სასურსათო კრიზისის შედეგების შესამცირებლად“, - განაცხადა ჩავუშოღლუმ ლავროვთან მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

* * *

ისრაელმა ღაზის სექტორში ავიაიერიშები განახორციელა მას შემდეგ, რაც ღაზიდან და ლიბანიდან ისრაელის მიმართულებით რაკეტები ისროლეს. ისრაელის ავიაგამანადგურებლებმა სხვადასხვა სამიზნეს დაარტყეს, მათ შორის „ჰამასის“ გვირაბებსა და იარაღის საწარმოებს. მანამდე, ისრაელმა პალესტინის შეიარაღებული დაჯგუფება „ჰამასი“ სამხრეთ ლიბანიდან ჩრდილოეთ ისრაელის მიმართულებით ათობით რაკეტის გასროლაში დაადანაშაულა. მათი მტკიცებით, 34 რაკეტიდან ექვსი ისრაელის ტერიტორიაზე დაეცა, რამაც შენობები დააზიანა.

მოამზადა
ია შველიძემ

# 9 აპრილი: ახალი ფურცელი – ისტორიაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*9 აპრილი ერის ისტორიაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის დაღუპულთა გახსენების დღეა. უკვე თმაშევერცხლილნი არიან ისინი, ვინც რუსულ იმპერიას დაუპირისპირდნენ. მათ შორისაა აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი, ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის" დირექტორის მოადგილე იოსებ აბულაძე*



- ჩემს მეხსიერებაში ეროვნული მოძრაობის დასაწყისის მთელი ისტორიაა დალექილი. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ვმონაწილეობდით მე და ჩემი თაობის სტუდენტები 1987 წლიდან. პირველი ხალხმრავალი მიტინგი 1988 წელს, იპოდრომზე ჩატარდა. იქ პირველად ვიხილე ტრიბუნაზე ეროვნული მოძრაობის ლიდერები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ზურა ჭავჭავაძე და მრავალი სხვა. მათი მიმართვები სამშობლოს სიყვარულით იყო გაჟღენთილი. სულგანაბული და დიდი ინტერესით ვისმენდით გამომსვლელების მოწოდებებს. იპოდრომის შემდეგ იყო 1988 წლის ნოემბრის აქციები, რომლის მოთხოვნა იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის უფლების შეტანა კონსტიტუციაში. აღნიშნულ აქციაზე პირველად დაიწყო შიმშილობა 62-მა დემონსტრანტმა. ეს აქციები 22 ნოემბრიდან 29 ნოემბრამდე გრძელდებოდა და ბოლოს უკვე 1000-მდე მოშიმშილე იჯდა რუსთაველის გამზირზე. ნოემბრის აქციამ, საყოველთაო აღიარებით, საფუძველი ჩაუყარა ეროვნული მოძრაობის შემდგომ, მასშტაბურ საპროტესტო აქციებს, რომლებზეც დამოუკიდებლობის მოთხოვნა უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმოდა. ამ დროისათვის თითქმის ყოველდღე ან ყოველ მეორე დღეს იმართებოდა დიდი და შედარებით მცირე აქციები, თუმცა 1989 წლის აპრილის აქციები, რომელიც დაიწყო 4 აპრილს და კულმინაციას მიაღწია 9 აპრილს, გამთენიისას, იმ საშინელი დარბევითა და სისხლიანი ანგარიშსწორებით მშვიდობიან დემონსტრანტებთან, იყო გამორჩეული და ისტორიული.

**- მაშინ დედაქალაქთან რა ურთიერთობები გაკავშირებდათ?**

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი. რა თქმა უნდა, მე და ჩემი მეგობრები ყველა მიტინგსა და აქციაზე დავდიოდით. 8 აპრილს ღამის 12 საათამდე ვიყავი რუსთაველის გამზირზე. რადგან გვყავდა ჩვილი ბავშვი, სახლში დავბრუნდი. იმ საღამოს რუსთაველის გამზირზე სიმშვიდე იყო, სიტყვით გამოდიოდნენ და მოთხოვნებს აყენებდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები. შეინიშნებოდა სამხედრო ფორმირებების გადაადგილება ახლანდელი პარლამენტის ეზოში. ქალაქში ვერტმფრენებიც გამოჩნდა. იმას, რაც 9 აპრილს, გამთენიისას მოხდა, არავინ ველოდით, დილა მთელი საქართველოსთვის გამაოგნებელი იყო. ყველა ეძებდა ახლობლებს სხვადასხვა საავადმყოფოში, მათ შორის, ჩვენც.

**- აჭარის მკვიდრ სტუდენტებს ლიდერად ვინ გყავდათ?**

- გამორჩეული ლიდერი ჩვენი კუთხის სტუდენტებს ჯერ კიდევ არ გვყავდა, ჩვენი აქტიურობა გამოიხატებოდა აქციებში მუდმივი ჩართულობით, ინდივიდუალურად. თუმცა, აქვე დავაზუსტებ - ნოემბრის აქციების დროს, პირველი შემთხვევა იყო, რომ რუსთაველზე მოშიმშილეთა შორის, აჭარის მკვიდრი ჯამბულ აბულაძე, მაშინ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი (ამჟამად - აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი) იყო. მან 22 ნოემბრიდან 29 ნოემბრამდე იშიმშილა.

**- ამ გადასახედიდან 9 აპრილს რა პოლიტიკურ შეფასებას მისცემთ?**

- 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა და იგი უახლეს ისტორიაში ჩაეწერა ტრაგედიისა და ამავდროულად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ. 9 აპრილის ტრაგედია საჭირო იყო თუ არა, ამის განსჯა ძნელია და ალბათ, არც არის საჭირო - თავისუფლებისთვის ბრძოლაში ქართველმა ერმა გაიღო საკუთარი წილი, გმირების საქმე და სახელი კი ისტორიისთვის დაუვიწყარი იქნება. 9 აპრილის მოვლენებმა ერი გააერთიანა, ერთ მუშტად შეკრა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ერთიანობა მხოლოდ მცირე ხნით, 1989 წლის 9 აპრილიდან 13 ოქტომბრამდე (მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღე) გაგრძელდა, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, მოგეხსენებათ, ძმათამკვლელ სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა.

**- მაშინ ქვეყანას ეროვნული მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერები ჰყავდა. მათ როგორ გაიხსენებთ?**

- იმ დროისათვის ეროვნული მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერები მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, ზურაბ ჭავჭავაძე, თამრიკო ჩხაიძე, ნოდარ ნათაძე და სხვები იყვნენ, რომლებიც უკვე ავტორიტეტებად ჩამოყალიბდნენ და ასიათასიან მიტინგებს მართავდნენ პერმანენტულად. მათ ხალხი დიდ პატივს სცემდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენც. ისინი მიტინგებს მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ დიდი პროფესიონალიზმით. ტრიბუნასთან მყოფთაგან ბილწსიტყვაობას ვერ გაიგონებდი, ყველა მათი სიტყვა იმდენად წონიანი იყო, რომ მიტინგიდან მიტინგამდე მათ მიმართ ინტერესი იზრდებოდა და ბოლოს ტერიტორია თავისუფლების მოედნიდან იმდროინდელ იმელის შენობამდე ხალხით გადაჭედილი იყო. მომიტინგეებიც კულტურულად, შეგნებულად იქცეოდნენ, ერთი ფოთოლი არ შერხეულა არასოდეს და ერთი მინა არ ჩამტვრეულა მაშინ, დღევანდელისგან განსხვავებით. 9 აპრილს რაც მოხდა, ეს იყო უპრეცედენტო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში. როცა ხალხს ორლესული ნიჩბებით და მომწამლავი გაზით დახოცავ, რა თქმა უნდა, განაჩენი დამდგარია და ლოგიკურია, რომ იმ პროცესებმა საბჭოთა კავშირის დაშლა დააჩქარა.

**- ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ...**

- უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, მუშაობა დავიწყე იმდროინდელი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მექანიზაციის კათედრაზე, შემდეგ, ამავე ინსტიტუტის ექსპერიმენტულ მეურნეობაში - ინჟინრად, მას შემდეგ, ძირითადად, ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობაზე სოფლის მეურნეობაში. ამ დარგში საქმიანობით დამიგროვდა საკმაო გამოცდილება. ალბათ, კვალიფიკაციიდან გამომდინარე, ვინიშნებოდი სხვადასხვა პასუხსაგებ პოზიციაზე.

**- როგორც პოლიტიკური პროცესების მონაწილეს, გკითხავთ - 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო?**

- 2008 წლის ომის შემდეგ მრავალი შეფასება გაკეთდა, მაღალი დონის უცხოელი და ქართველი ექსპერტების ანალიზიც გამოქვეყნდა, რაც მაფიქრებინებს, რომ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

**- ქვეყანა ახლაც ომის ზღვარზეა.**

- საქართველო დღეს ომში რომ არ არის ჩართული, თავიდან ბოლომდე დღევანდელი ხელისუფლების დამსახურებაა, რასაც ხალხი სწორად აღიქვამს. ამასაც ისტორია შეაფასებს თავის დროზე.

**- რის ფასად მოიპოვებს უკრაინელი ხალხი მშვიდობას?**

- უკრაინა რომ გაიმარჯვებს, ეს მჯერა და ჩემი სურვილიცაა. რაც შეეხება ფასს, ეს რომ ძალიან ძვირად დაუჯდა უკრაინელ ხალხს, უკვე ნათელია.

**- სულ სხვა იყო ქართული სოფელი 30 წლის წინ და სხვაა ახლა. როგორც გამოცდილ სამეურნეო მუშაკსა და ხელმძღვანელს, რა წინადადებები გაქვთ ქართული სოფლის გადასარჩენად?**



- ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყანაა. სხვათა შორის, პანდემიის დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სოფლის მეურნეობის დარგის სიძლიერე ძალიან მნიშვნელოვანია. 30 წლის წინ სოფლის მეურნეობა ცუდ მდგომარეობაში არ იყო, მით უმეტეს, საკუთრების ფორმა სხვა გახლდათ. მუშავდებოდა მიწები, მაგრამ ტექნოლოგიები ნამდვილად დაბალ დონეზე იყო, შესაბამისად, დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, მოსავალიც - დაბალი. 90-იანი წლების შემდეგ სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს ყურადღება მიაკლდა. მოიშალა ინფრასტრუქტურა, წარმოებული პროდუქციის ხარისხი იყო დაბალი და ბაზარზე არ იყო კონკურენტუნარიანი. შესაბამისად, შემოსავალიც არასახარბიელო გახლდათ, რაც ნაკლებ საინტერესო ხდებოდა ფერმერებისთვის. 2012 წლიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი და ქვეყნისათვის უპრეცედენტო ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის, რაც ამ მიმართულებით მსხვილ სახელმწიფო ინვესტიციაში გამოიხატა. მიუხედავად ამისა, ქვეყნისა და მათ შორის, რეგიონის სოფლის მეურნეობა კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშეა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და არაერთი პროგრამაა დაგეგმილი დარგის განვითარებისათვის. პროგრამებს ახორციელებს როგორც სამინისტრო, ასევე ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი".

**- გაზაფხულმა ბარშიც დაიგვიანა და მთაშიც. რას ჰპირდებით ფერმერებს?**

- მართალია, საკმაოდ ხანგრძლივი ზამთარი იყო, თუმცა აგროტექნიკური ვადებით საგაზაფხულო სამუშაოები არ არის დაგვიანებული. პირველი აპრილიდან დაიწყო აგრომომსახურების პროგრამა, რაც ითვალისწინებს 2000 ჰექტარზე მეტი ფართობის ნაკვეთების უფასოდ დახვნას, დადისკვას, დაფრეზვას და დაფარცხვას, რომელსაც „აგროსერვისცენტრი" ახორციელებს. ასევე, მაისის დასაწყისში, შუახევის საჩითილე მეურნეობაში გვექნება კიტრის, პომიდვრის, ტკბილი წიწაკის, ბადრიჯნის და ბროკოლის უხვმოსავლიანი, სერტიფიცირებული თესლისაგან წარმოებული ბოსტნეულის ჩითილები. მისი შეძენა რეგიონის ფერმერებს მაისის დასაწყისში შეეძლებათ.

**- სანერგე და საჩითილე მეურნეობები რას აკეთებენ ფერმერების მაღალპროდუქტიული ვაზის, ხეხილის ნერგებითა და ჯანსაღი ჩითილით მოსამარაგებლად?**

- სასოფლო-სამეურნეო სექტორისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ადგილობრივად წარმოებული სათესლე და სარგავი მასალის ხარისხის უზრუნველყოფა, რათა ფერმერები დარწმუნებული იყვნენ საკუთარ მეურნეობებში შეტანილი მასალების ხარისხში. ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის" ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უვირუსო და სერტიფიცირებული სარგავი და სათესლე მასალის წარმოება. აქ უკვე დამყნილია ათი ათასამდე ძირი ვაზის ნერგი, რომლის რეალიზაცია დაიწყება ივნისის პირველ რიცხვებში. ასევე, შემოდგომისთვის გვექნება სხვადასხვა ხეხილოვანი კულტურის სანერგე მასალა.

**- თავად სოფლის მეურნეობის რა დარგების მოვლა-პატრონობით ხართ დაკავებული?**

- ხულოს რაიონში მაქვს მამისეული სახლი და ოჯახური მეურნეობა, თუმცა, სამწუხაროდ, ერთწლიანი კულტურების მოვლა-პატრონობას ვერ ვახერხებ, მხოლოდ მრავალწლოვან ხეხილოვან მცენარეებს ვუვლი, შეძლებისდაგვარად.



„ქვეყანა მათ ხსოვნას სანთლებად აინთებს"

# „100 წერილი ბსუ-ს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ნინო კაკაბაძე ბსუ-ის ტურიზმის ფაკულტეტის მეოთხე კურსის წარმატებული სტუდენტია, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად შეიმუშავა პროექტი „100 წერილი ბსუ-ს“. იგი უნივერსიტეტის 100 წლისთავს ეძღვნება. გთავაზობთ ინტერვიუს ამ ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდასთან*



**- „100 წერილი ბსუ-ს“ - ამ პროექტის მიზანი და დანიშნულება?**

- წლების განმავლობაში, ასობით და ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებასა და სტუდენტებისათვის სასწავლო და კვლევითი შესაძლებლობების შექმნაში. ჩვენი პროექტის მიზანია გამოიცეს წიგნი „100 წერილი ბსუ-ს“, სადაც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა თაობის, ბსუ-ის წარმატებული კურსდამთავრებულების წერილები. ამით აბიტურიენტებსა და არა მხოლოდ მათ, გააცნობენ საკუთარ ისტორიას ბსუ-ში მოხვედრის, სტუდენტობისა და სტუდენტობის შემდეგ განვითარებული ცხოვრების შესახებ. აბიტურიენტი საკუთარი თვალით გაეცნობა რეალურ ისტორიებს სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო საფეხურის კურსდამთავრებულების შესახებ, დაინახავს რეალურ შესაძლებლობებს, იმას, თუ რამდენად ამართლებს ჩვენი უნივერსიტეტი თავის მოთხოვნებს. პროექტი შეიქმნა ზუსტად იმისათვის, რომ შემოიტანოს ინოვაცია. ბსუ ხდება პირველი უნივერსიტეტი საქართველოში, რომელიც აბიტურიენტებს მისცემს წვდომას მისი და მისი კურსდამთავრებულების „ურთიერთობაზე,“ იმაზე, თუ რაოდენ დიდი რესურსი და პოტენციალი აქვს იმისათვის, რომ საკუთარი სტუდენტი აქციოს თავისი საქმის პროფესიონალად, მისცეს მას უმაღლესი განათლება და გაუხსნას გზა კარიერული განვითარებისკენ.

**- საინტერესო იდეა - როგორ შეიმუშავეთ პროექტი?**

- იდეა გაჩნდა სპონტანურად, როდესაც მე და ელენე კურტანიძე უნივერსიტეტის შესახებ ვეცნობოდით სხვადასხვა ისტორიას. ერთ-ერთ წყაროში ამოვიკითხეთ, რომ 1923 წლისათვის, ქალთა გიმნაზიის ყოფილ შენობაში (ამჟამად №2 საშუალო სკოლა) დაფუძნდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა და რამაც ძალიან დიდი საფუძველი ჩაუყარა მომავალში მის უნივერსიტეტად ჩამოყალიბებას. დავფიქრდით იმაზე, თუ რამდენი წარჩინებული ადამიანი აღზარდა უნივერსიტეტმა, რამდენი წარმატებული და თავისი საქმის პროფესიონალი წარუდგინა ქვეყანას. სწორედ მაშინ გაგვიჩნდა იდეა, რომ ამ თარიღიდან (1923), ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით, მოგვეძებნა და საზოგადოებისთვის გაგვეცნო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა თაობის, პროფესიის 100 წარმატებული კურსდამთავრებული. ზოგ მათგანს საზოგადოება შეიძლება იცნობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა ისტორიების გაცნობა ძალიან საინტერესო იქნება. ეს წიგნი გახდება ერთგვარი სამაგიდო წიგნი უნივერსიტეტისათვის და ყველასათვის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რას ემსახურება ჩვენი უნივერსიტეტი და რაოდენ დიდია მისი გავლენა ყოველი კურსდამთავრებულის ცხოვრებაზე.

**- თქვენ ბსუ-ის „სტუდენტური პროექტები 2023“-ის ერთ-ერთი გამარჯვებული ხართ, გვიამბეთ ამის შესახებ...**

- „სტუდენტური პროექტები“ ერთ-ერთი წამახალისებელი და მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რასაც უნივერსიტეტი სთავაზობს საკუთარ სტუდენტს. მასში უკვე მეორედ ვმონაწილეობ და დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი სახის პროექტები სტუდენტებს გვაძლევს საშუალებას, წარმოვაჩინოთ საკუთარი თავი კრეატიული და ინოვაციური კუთხით, ვაჩვენოთ საზოგადოებას, თუ რამდენად შესაძლებელია იდეის რეალობად ქცევა. არ არის მსგავს პორექტებში მონაწილეობა მარტივი, რადგან საკმაოდ დიდი და ჯანსაღი კონკურენციაა იდეის, წარმოჩენისა და სიახლის მხრივ. ეს კი გვაძლევს შესაძლელობას, მეტად ვიშრომოთ იმ მიზნის მისაღწევად, რაც ამ პროექტით გვაქვს დასახული. მე და ელენეს მსგავსი პროექტი არაერთხელ დაგვიწერია, ამიტომ წელს საკმაოდ რთული აღმოჩნდა იდეის პოვნაც კი. როგორც კი იდეა გაჩნდა, შემდეგ რთული იყო ისეთი ინოვაციური კუთხით წარმოჩენა, რაც დააინტერესებდა საზოგადოებას. თუმცა ვთვლი, რომ ჩვენ ეს ნაბიჯი საკმაოდ კარგად და გააზრებულად გადავდგით. რაც შეეხება გამარჯვებას, რა თქმა უნდა, საკმაოდ ვნერვიულობდით, განსაკუთრებით იმაზე, თუ როგორ მიიღებდნენ და აღიქვამდნენ ჩვენს იდეას. გამარჯვების მხრივ, სიმართლე რომ ვთქვა, დიდ იმედს არ ვიტოვებდით, თუმცა არც „მარცხი“ გვსურდა. საკმაოდ საინტერესო გზა გავიარეთ აქამდე მოსასვლელად და სრული გულწრფელობით მსურს ვთქვა, რომ ჩვენი შრომა ამით დაფასდა.

**- რას იხილავს მკითხველი ამ წიგნში?**

- წიგნი „100 წერილი ბსუ-ს“ მოიცავს იმ ადამიანების ისტორიას, ციტატებს და გამოსვლებს, ვინც აქ სწავლობდა ან სწავლობს. ამას გარდა, ეს წიგნი იქნება საჩუქარი უნივერსიტეტისათვის, რომლითაც სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებული კვლავ გაიხსენებს, როგორი იყო ცხოვრება უნივერსიტეტის კედლებში, რა შეიცვალა მის ცხოვრებაში და რაზე იმოქმედა აქ გატარებულმა დრომ. პროექტის ამოცანაა წიგნის შექმნა და გამოცემა, რომელსაც აბიტურიენტი უნივერსიტეტის შერჩევისას მიაკითხავს და დარწმუნდება იმაში, რომ ბსუ-ის არჩევის შემთხვევაში ნამდვილად სწორ ნაბიჯს გადადგამს.

**- 100 წლის განმავლობაში ბსუ-ის ათასობით კურსდამთავრებული ჰყავდა, მათ შორის იყვნენ გამორჩეული სტუდენტები, სახელობითი სტიპედიატები, ბევრი მათგანი დღეს სახელმოხვეჭილი მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი, სახელმწიფო მოხელეა. შერჩევა თუ დაიწყეთ და კონსულტაციებს ვინ გაგიწევთ ამ კუთხით?**

- როგორც კი დავიწყეთ პროექტზე მუშაობა, უკვე გვყავდა რამდენიმე წარმატებული კურსდამთავებული შერჩეული, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ჩვენი მიზანია არა მარტო წარჩინებული და ცნობილი კურსდამთავრებული სტუდენტის ისტორია დავწეროთ, არამედ იმ ადამიანებისაც, რომლებსაც არ იცნობენ. შესაბამისად, მკითხველსაც შეუძლია მოგვაწოდოს ინფორმაცია იმათ შესახებ, ვისი წერილის ხილვასაც ისურვებდა წიგნში.

**- როგორი ჟანრის წიგნს უნდა ველოდოთ, ეს იქნება სტატიები გამორჩეულ კურსდამთავრებულთა შესახებ თუ მათი წერილები?**

- ეს იქნება წერილები, რომელიც მოიცავს მათი ცხოვრების ისტორიებს, დოკუმენტური და საინტერესო ჩანართებით.

**- ამ პროექტზე თქვენთან ერთად ვინ იმუშავებს და მზად თუ ხართ წიგნის გამოსაცემად, რაც დიდ შრომას მოითხოვს?**

- ამ პროექტზე ვმუშაობ და სამომავლოდაც ვიმუშავებ ჩემს მეგობარ ელენე კურტანიძესთან ერთად, რომელიც იდეების წყარო და მამოძრავებელი ძალაა. ჩვენ მზად ვართ იმ შრომისთვის, რასაც არა მარტო წიგნის დაწერის პროცესი მოითხოვს, არამედ იმისთვისაც, ერთად გამოვცადოთ, რას ნიშნავს დაწყებული შრომის სრულ შედეგამდე მიყვანა. მოკლედ შემოგთავაზებთ, თუ რა პროცესს გავივლით წიგნის პრეზენტაციამდე. პირველ ეტაპზე დავიწყეთ წარმატებული კურსამთავრებულების შერჩევა. რა თქმა უნდა, მათაც უნდა ჰქონდეთ სურვილი, გახდნენ ამ პროექტის ნაწილი. შემდეგი ეტაპი მოიცავს არსებული წერილების დამუშავებას, რედაქტირებას, საბოლოო ეტაპი კი - წიგნის გამოცემას, ბეჭდვასა და საზოგადოების წინაშე წარდგენას.

> *როგორც კი დავიწყეთ პროექტზე მუშაობა, უკვე გვყავდა რამდენიმე წარმატებული კურსდამთავებული შერჩეული, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ჩვენი მიზანია არა მარტო წარჩინებული და ცნობილი კურსდამთავრებული სტუდენტის ისტორია დავწეროთ, არამედ იმ ადამიანებისაც, რომლებსაც არ იცნობენ. შესაბამისად, მკითხველსაც შეუძლია მოგვაწოდოს ინფორმაცია იმათ შესახებ, ვისი წერილის ხილვასაც ისურვებდა წიგნში*

**- როცა პროექტი თქვენს ლექტორ-მასწავლებლებს გააცანით, როგორი იყო მხარდაჭერა, რჩევა, წინადადებები?**

- წარდგენის შემდგომ, დიდი გამოხმაურება მოჰყვა პროექტს საზოგადოების მხრიდან. ამასთან ერთად, დაინტერესება და აღფრთოვანება გამოთქვა უნივერსიტეტმა. ლექტორ-მასწავლებლების მხრიდან დიდი მხარდაჭერა და დაინტერესება მივიღეთ, მათი თქმით, ეს მათივე ცხოვრების ნაწილსაც წარმოადგენს. მოხარულები არიან, რომ შესაძლებლობა ექნება როგორც უნივერსიტეტს, ასევე ახლანდელ და მომავალ თაობას, „აღმოაჩინოს“ ის ადამიანები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს უნივერსიტეტის განვითარებაში.

**- ახლა საკუთარ თავზე მოგვიყევით, რატომ აირჩიეთ ტურიზმის ფაკულტეტი და სამომავლოდ რა მიზნებს ისახავთ?**

- აბიტურიენტობის პერიოდში, ვფიქრობდი, რამდენად მინდოდა ის პროფესია, რასაც იმ წუთას ვირჩევდი. თუმცა გადაწყვეტილება მივიღე და ჩავაბარე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტზე. საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა დავინახე, რისი გამოყენება ჩემივე განვითარებისთვის შემეძლო და შემიძლია, ერთ-ერთი სწორედ რომ ეს პროექტია. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მოგეხსენებათ, ბათუმი, აჭარა, ერთ-ერთი წამყვანი რეგიონია ტურიზმის კუთხით. შესაბამისად, ადვილია დასაქმება, თუმცა რთულია დამკვიდრება ამ ძალიან კონკურენტულ ბაზარზე. ტურიზმის ფაკულტეტის შერჩევამ მომცა შესაძლებლობა, სხვადასხვა სფერო თუ სპეციალობა გადამეფასებინა და დამენახა იმ კუთხით, რა კუთხითაც ტურიზმი მოითხოვს. მსურს დავსაქმდე მასპინძლობის სფეროში, მეტად გავიღრმავო ცოდნა და მივიღო გამოცდილება ამ მიმართულებით.

**- როგორც ტურიზმის სპეციალისტს, მინდა გკითხოთ, ბათუმი ტურისტულ არეალში როგორ გამოიყურება და რა პერსპექტივები აქვს?**

- ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ ტურიზმი მსოფლიოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია და მას ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს. საქართველოს, კერძოდ, ჩვენი რეგიონის უნიკალური ბუნებრივი პირობები, ტურიზმის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით განვითარების შანსს იძლევა, იქნება ეს საზღვაო, ეკო და რურალ, სამთო-სათხილამურო, სათავგადასავლო, საკრუიზო თუ სხვა სახის ტურიზმი. აჭარაში ტურიზმი დინამიურად ვითარდება, რაც ვიზიტიორთა ნაკადის ყოველწლიურ ზრდაში გამოიხატება.

**- როცა ბათუმის ქუჩებში დააბიჯებთ... ჩათვალეთ, რომ უცხოელი ტურისტი ხართ, რა მოგეწონებათ და რა იქნებოდა თქვენთვის მიუღებელი?**

- ბათუმი ტურისტული ინფრასტრუქტურით უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება. მე, როგორც ტურისტს, ისეთი ბრენდების არსებობა, როგორიცაა „შერატონი“, „რედისონი“ და „ჰილტონი“, მაძლევს გარანტიას, რომ ეს ქალაქი სრულად შეესაბამება ტურისტის მოთხოვნებს. დღეს, ბათუმის ცენტრალური ნაწილი დასავლეთ ევროპის ქალაქს ჰგავს თავისი შადრევნებითა და მაღაზიებით. ღამის ცხოვრება ქალაქში საოცრად კარგად არის წარმოჩენილი. რესტორნებსა და კაფეებში, ტურისტებს შეუძლიათ დააგემოვნონ ტრადიციული ქართული კერძები. ცალკე აღნიშვნის ღირსია ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ბულვარი. ქალაქი აერთიანებს ძველ და მოდერნისტულ არქიტექტურას, სტილს, რაც უფრო საინტრესოს ხდის მას. ამასთან, გვაქვს ბევრი ბუნებრივი თუ ტურისტული ღირსშესანიშნაობა. მიუღებელთან დაკავშირებით იმ პრობლემას შევეხები, რაც ყველაზე მეტად მაწუხებს - ეს არის მომსახურების დაბალი ხარისხი. მაშინ, როდესაც ტურისტს საკმაო არჩევანი აქვს სასტუმროს ტიპის, ხარისხისა და ტრანსპორტის შერჩევისას, არასათანადო მომსახურების გამო მათი მოზიდვა და შენარჩუნება საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს. ტურისტული მომსახურების ხარისხი ნიშნავს ტურპროდუქციის ნაკლოვანებებისაგან განთავისუფლებას და ფუნქციონირების მაღალი დონის შენარჩუნებას.

**- დაბოლოს, რა შეგიძლიათ უთხრათ თქვენს თანატოლებს და თანამოქალაქეებს?**

- ისტორიას ვწერთ ყოველ წამს, შესაბამისად, უნდა გვჯეროდეს საკუთარი თავის, შესაძლებლობების. დაიწყეთ დღე ფრაზებით „მე შემიძლია“, „მე გამომივა“, „მე გავაკეთებ“. აზრებისა და სიტყვების სწორი ფორმულირება შექმნის იმ გარემოს, რა გარემოშიც გსურთ ყოფნა. არ დათმოთ ის ოცნება, იდეა, მისწრაფება, რაც სრულ ბედნიერებას განიჭებთ.

## აჭარის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით:



აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა იწყება. ეს გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

„კომიტეტებში განსახილველად ჩაეშვა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებს ითვალისწინებს. საკითხი სხდომაზე მისმა ერთ-ერთმა ინიციატორმა - დავით გაბაიძემ წარმოადგინა. განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები. ბიუროს გადაწყვეტილებით, პლენარულ სხდომაზე განიხილება: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ (II მოსმენა) კანონებსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტები და უმაღლესი საბჭოს კომიტეტების ანგარიშები“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ასევე, აჭარის უმაღლესი საბჭოს ცნობით, ბიურომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონპროექტზე წამყვან კომიტეტს განხილვის ვადა 60 დღით გაუხანგრძლივა.

„რაც შეეხება უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშებს, როგორც დავით გაბაიძემ აღნიშნა, ეს საკანონმდებლო ორგანოში პირველი პრეცედენტია და ღია მმართველობის საბჭოს გეგმითაა გათვალისწინებული. საკითხი სხდომაზე ცნობად მიიღეს. ბიურომ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესი საბჭოს კომიტეტების 2023 წლის სამოქმედო გეგმებთან და რეგიონების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ საკანონმდებლო წინადადებასთან (ავტორი - პაატა ურიადმყოფელი) დაკავშირებითაც.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონპროექტზე, ბიურომ, წამყვან კომიტეტს განხილვის ვადა 60 დღით გაუხანგრძლივა. საკითხთა ნაწილი სხდომაზე საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა ლადო მგალობლიშვილმა და მარინე გვიანიძემ წარმოადგინეს“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან ბურიძე

# აშშ-მა ქართველი მოსამართლეები დაასანქცირა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*მიხეილ ჩინჩალაძე, ლევან მურუსიძე, ირაკლი შენგელია, ვალერიან ცერცვაძე ის მოსამართლეები არიან, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები სანქციებს უწესებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა გაავრცელა*

„ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერას დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გაძლიერების კუთხით და გააგრძელებს იმ პირთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, ვინც პირადი სარგებლის მიზნით, ბოროტად იყენებს საჯარო უფლებამოსილებას. ჩვენ ყველა იმ მოსამართლის გვერდით ვდგავართ, ვისაც აქვს გამბედაობა და კეთილსინდისიერება, იმოქმედოს მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად. პირებს, რომელთა სანქცირებაც განხორციელდა 2023 ფისკალური წლის დაფინანსების აქტის 7031(c) თავის საფუძველზე, ეხება სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო ოპერაციებსა და მასთან დაკავშირებულ პროგრამებს (Div. K, P.L. 117-328) („თავი 7031(c)“) და მათ უშუალო ოჯახის წევრებს, ეკრძალებათ ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლა“ - წერია ენტონი ბლინკენის განცხადებაში, რომელიც საქართველოში აშშ-ის საელჩომ გაავრცელა.

სანქცირების საკითხს გამოეხმაურა ლევან მურუსიძე, რომელიც თვლის, რომ ამერიკის გადაწყვეტილება მის მიმართ უსამართლობაა.

- პატიოსანი ცხოვრებით მიცხოვრია, კანონი არ დამირღვევია. თუ ახლა აშშ-ში ან ევროკავშირის ქვეყნებში არ შემიშვებენ, რა ვქნა, არც ბაბუაჩემს უვლია ამერიკაში, მაგრამ უცხოვრია ადამიანურად, კაცურად და გადაუტანია, - აღნიშნა მურუსიძემ.

მოსამართლეთა სანქცირების თემას ასევე გამოეხმაურა აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი. მისი განცხადებით, აღნიშნული მოსამართლეები, მათ ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით ჩართული იყვნენ კორუფციულ საქმიანობაში.

- მათი ქმედებებით მათ უგულებელყვეს სასამართლო და საჯარო პროცესი მოსამართლეების მიმართ უკანონო სარგებლის შეთავაზებით ან ზეწოლით, რათა მიეღოთ მათი პოლიტიკური მოკავშირეების სასარგებლო გადაწყვეტილებები და მოახდინეს მოსამართლეთა დანიშვნებით მანიპულირება, პირადი სარგებლის მიღების მიზნით. აღნიშნული კორუფციული ქმედებებით მათ შებლალეს სამართლის უზენაესობა და დემოკრატიული პროცესი და შეასუსტეს ქართველი ხალხის ნდობა საქართველოს დემოკრატიულ ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტის დამოუკიდებლობის მიმართ - განაცხადა კელი დეგნანმა და დასძინა, რომ კორუფცია და მართლმსაჯულებაში ჩარევა აბრკოლებს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. მისივე განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ გამოხატავს, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ყველა შრომისმოყვარე, ნიჭიერ, კეთილსინდისიერ და პროფესიონალ მოსამართლეს, რომლებსაც შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა და აღასრულონ მართლმსაჯულება ზეწოლის, მუქარისა და ჩარევის გარეშე. დეგნანის განცხადებით, საქართველოს ყველა მოქალაქე იმსახურებს მართლმსაჯულებას, სამართლის უზენაესობას და უფლებას სამართლიან და დამოუკიდებელ სასამართლოზე.

„სააკაშვილის დროს არ დასანქცირებულა არც ერთი ქართველი მოსამართლე, მეტიც, სააკაშვილს ადამიანის უფლებების სფეროში შეტანილი წვლილისათვის აჯილდოებენ, მხოლოდ ამიტომ არის მოსამართლეების ამერიკაში არშეშვების გადაწყვეტილება არა მხოლოდ უსამართლობა და ცინიზმი, არამედ საქართველოს მძიმე შეურაცხყოფა. გამორიცხეთ საქართველოს ცალ ფეხზე დგომა, აქ ომი არ იქნება. ვერც სააკაშვილის რეჟიმი დაბრუნდება ვერასდროს. შესაბამისად, ვერც ამ ქვეყნის უკრაინიზაციას და ცეცხლის ალში გახვევას მოახერხებს ვერავინ!“ - აღნიშნული განცხადება საკუთარ ფეისბუქგვერდზე გაავრცელა საქართველოს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრმა და მმართველი პარტიის რეგიონულმა მდივანმა დიმიტრი სამხარაძემ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ ენტონი ბლინკენი შეცდომაში შეიყვანეს, „გასვარეს“, განცხადებაზე ხელი მოაწერინეს.

- აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით მომიწევს ცოტა მძიმე შეფასების გაკეთება. განცხადებაში კორუფციაზე იყო საუბარი. ამ განცხადების უკან დგას კორუფციული პროცესები. როგორც მოგეხსენებათ, კორუფციაში ფული არ იგულისხმება მარტო. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ის არის, რომ პირდაპირ სახელმწიფო მდივანი ბლინკენი გასვარეს ასეთი განცხადების დადებისას, რაც არის ძალიან ცუდი. ძალიან მძიმედ მეტყველებს იმ ადამიანებზე, რომლებსაც ასეთი ინფორმაცია მიაქვთ სახელმწიფო მდივნამდე. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვესმის, რომ ენტონი ბლინკენი საქართველოზე ფიქრით არ იძინებს და არ იღვიძებს, მას ბევრად მეტი საქმე აქვს. როდესაც მასთან მიაქვთ ასეთი მძიმე დოკუმენტები, ეს არის, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე და მეტყველებს კორუფციულ პროცესებზე, რომელიც ამ ყველაფერს საფუძვლად უდევს. რაც შეეხება მტკიცებულებებს, ნული მტკიცებულებაა. გვიმალავენ? დანაშაულია ჩადენილი და რატომ გვიმალავენ. ეს ხომ არასერიოზულია. თუ დანაშაულია ჩადენილი, პირველი, ინტერესი ხომ უნდა გქონდეს, რომ აცნობო მეორე მხარეს ამ დანაშაულის შესახებ ან საზოგადოებას მაინც უთხრა. საზოგადოებას, რატომ უმალავენ, რომ ამა და ამ მოსამართლეებმა ჩაიდინეს ესა და ეს დანაშაული? რატომ არ ამბობ, თუ მტკიცებულება გაქვს? სად არის აქ ლოგიკა? - სვამს კითხვას კობახიძე.

ამერიკის საელჩოს განცხადებით, ისინი მსგავს გადაწყვეტილებებს არ იღებენ სანდო ფაქტებზე დაყრდნობის გარეშე და დასძენენ, რომ კვლავ გააგრძელებენ იმ პირების ანგარიშვალდებულებათა უზრუნველყოფას, ვინც პირადი სარგებლის მიზნით ბოროტად იყენებს საჯარო უფლებამოსილებას.



# PACE-ს მომხსენებელთა შეფასებები და რეკომენდაციები

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ამ ეტაპზე ქვეყანაში რეფორმების პროცესი, როგორც ჩანს, აშკარად შეჩერებულია, - აღნიშნული განცხადება გააკეთეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მომხსენებლებმა, რომლებიც საქართველოში მონიტორინგს უწევენ ჩვენი ქვეყნის მიერ ევროსაბჭოსადმი არსებული ვალდებულებების შესრულებას*

მომხსენებლების განმარტებით, მართალია საქართველომ არაერთი რეფორმა განახორციელა აქამდე, არაერთ წარმატებას მიაღწია, რათა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობა მიახლოებული ყოფილიყო ევროპულ სტანდარტებთან, მაგრამ მომხსენებლების კლოდ კერნისა და ედიტ ესტრელას ინფორმაციით, რომლებიც 27-29 მარტს საქართველოში იმყოფებოდნენ, შემაშფოთებელია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივისთვის ასეთ მნიშვნელოვან მომენტში რეფორმების შეჩერება. განცხადებაში ისინი როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ასევე სხვა ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდებენ, დაძლიონ პოლარიზაცია, ვიწრო პარტიული ინტერესები და ერთობლივი მუშაობით მოახერხონ, რომ საქართველომ მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. განცხადებაში ხელისუფლებას ასევე მოუწოდებენ, მტკიცედ დაგმონ და გამოიძიონ თავდასხმები, რომელიც მიმართულია სამოქალაქო სექტორის გაჩუმებისკენ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლების განმარტებით, აუცილებელია გაგრძელდეს სასამართლო სისტემის, ასევე იუსტიციის საბჭოს რეფორმირება, რათა აღმოიფხვრას კორპორატივიზმი, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჭვირვალობა და სასამართლო სისტემაზე არასათანადო კონტროლი, რაც ხელს უშლის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლებმა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც გაამახვილეს ყურადღება და დასძინეს, რომ მნიშვნელოვანია საკითხის დეპოლიტიზაცია და აუცილებელია, მხარეები დაეყრდნონ ნეიტრალურ, უტყუარ და სანდო ინფორმაციას. შესაბამისად, მათ მოუწოდეს ხელისუფლებას და სააკაშვილის ოჯახს, სწრაფად მიაღწიონ შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას უცხოელ ექიმებზე.




# მალე ყველა ძაღლი დაიჩიპება, კანონპროექტი უკვე მუშავდება

*„კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ სავალდებულო იქნება ყველა ძაღლის ჩიპირება, იდენტიფიცირება. შესაბამისად, არცერთი ვეტერინარული კლინიკა, ზოომაღაზია, ბაზრობა არ იქნება უფლებამოსილი, ძაღლი გაყიდოს ან გაამრავლოს ამ ჩიპირების გარეშე“, - ამის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძემ გადაცემაში „ბიზნესპალიტრა“ განაცხადა*

მისი თქმით, ცვლილებების შედეგად, ყველა ძაღლი, რომელიც ქუჩაში მოხვდება, იდენტიფიცირებას დაექვემდებარება და მეპატრონეს, რომელმაც ის გაუშვა, შესაბამისი სანქციები დაეკისრება. გარდა ამისა, მაია ბითაძის თქმით, ფულადი ჯარიმა გაიზრდება ძაღლების გასეირნების წესების დარღვევისთვისაც.

„დღესდღეობით კანონმდებლობა, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს, არ არსებობს. თავშესაფრები მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტშია. ზოგადად, პრობლემაა ძაღლების ყოლა- გამრავლებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში კასტრაცია-სტერილიზაციის პროცენტული მაჩვენებელი ბოლო წლებში გაზრდილია თითქმის 70 პროცენტით, ასევე, საოპერაციოებისა და ვეტერინარების რაოდენობა, ასევე, გაზრდილია იმ ძაღლების რაოდენობა, რომლებიც გაგდებულნი არიან ქუჩაში და შემდგომ უკონტროლო გამრავლებას ექვემდებარებიან. დინამიკაში ვერ ეწევა სტერილიზაცია-კასტრაცია ძაღლების ყოლისა და ქუჩაში გაგდების პროცენტულ მაჩვენებელს. სწორედ ამიტომ, საკანონმდებლო პროექტი უკვე მომზადებულია კომიტეტში. ჩვენ ამ კანონპროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ მერიაში მუშაობისას დავიწყეთ (როდესაც მერის მოადგილე გახლდით). შარშან მერმა გამოაცხადა, რომ კანონპროექტი გადაეცემოდა საქართველოს პარლამენტს. ეს კანონპროექტი არ იქნება მხოლოდ დედაქალაქისთვის, დაფარავს მთელ საქართველოს. კანონპროექტი, პრაქტიკულად, მზად არის. ჩვენ დაგვრჩა 4 მიკროსამუშაო ჯგუფთან შეხვედრა, რასაც აპრილში განვახორციელებთ. აქტიურად ვიმუშავეთ ყველა დაინტერესებულ პირთან, დაახლოებით, 90-მდე შეხვედრა გავმართეთ. ასევე, აქტიურად ვმუშაობთ ჩვენს დონორებთან, რომ დავითვალოთ, რა თანხები უნდა გაიღოს თითოეულმა მუნიციპალიტეტმა იმისთვის, რომ თავშესაფრები, საოპერაციოები შეიქმნას. ასევე, აღჭურვილი იყოს ყველა მუნიციპალიტეტი შესაბამისი საშუალებებით.

ფართო საზოგადოებამ ძალიან კარგად უნდა გაიგოს, რომ ამ კანონპროექტის მთავარი მიზანია, მკაცრად გაკონტროლდეს ძაღლების ყოლისა და გამრავლების საკითხები. სხვანაირად, სახელმწიფოს მხრიდან რაც უნდა საოპერაციოები შეიქმნას და კასტრაცია-სტერილიზაცია ჩატარდეს ყოველდღიურად, თუ არ გაკონტროლდნენ ადამიანები, ვინც ყიდულობს ან ამრავლებს ძაღლებს, პრაქტიკულად, პრობლემა ვერ გადაიჭრება.

ამ კანონპროექტის მთავარი მიზანია, ცხოველთა რაოდენობის გაკონტროლება. ამის ერთადერთი საშუალება არსებობს, ეს არის ძაღლების მიკვლევადობა. ამ კანონის შექმნის პარალელურად, ჩვენ ვიმუშავეთ სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან, შეიქმნება შესაბამისი ელექტრონული პორტალი.

ამასთან, სანქციების გაზრდა იგეგმება ძაღლების სეირნობის წესების დარღვევისთვის, ასევე ძალიან მაღალი იქნება სანქციები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იყოლიებენ ძაღლს იმიტომ, რომ მოდაშია, შემდგომ ამ ძაღლს ქუჩაში აგდებენ და ტრაგიკულ მდგომარეობაში ამყოფებენ ცხოველს, პრობლემას უქმნიან მოსახლეობასაც“, - განაცხადა მაია ბითაძემ.

**მოამზადა
ხატია იაშვილმა**



# მადლობის სიგელები – ორგანიზებული მუშაობისთვის

თამაზ მგზამრიძე 27 48 93

*უკან დარჩა თებერვლის უხვთოვლიანი და ყინვიანი დღეები. ყველაზე დიდი ჯაფა საგზაო სამსახურებმა გასწიეს. მინდობილ საქმეს მექანიზატორები წარმატებითართმევდნენ თავს. მათ შრომა კიდეც დაუფასდათ*



ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხულოს რაიონული განყოფილების თანამშრომლებს მუნიციპალიტეტში დიდთოვლობის გამოწვევებისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმის, თავდაუზოგავი შრომისა და მამაცობისთვის მადლობის სიგელები გადასცეს.

- მადლობა თითოეულ თანამშრომელს გაწეული შრომისთვის. უხვი ნალექისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მოსახლეობას განსაკუთრებული დისკომფორტი არ შექმნოდა, - თქვა ვახტანგ ბერიძემ.

**გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.**

# კვარამანია – ნეაპოლში

***ნეაპოლში 31 მარტს დაბადებულ ბიჭუნას „ნაპოლის“ ქართველ ფეხბურთელ ხვიჩა კვარაცხელიას პატივსაცემად ხვიჩა დაარქვეს***

მისი მშობლები არმანდო და კლარა „პარტენოპეის“ გულშემატკივრები არიან და გადაწყვიტეს, თავიანთი პირმშოსთვის ხვიჩა, უფრო სწორად, დანიელე ხვიჩა დაერქმიათ.

„მართალია. მას დანიელე ხვიჩა დავარქვით და ეს გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარე მივიღეთ, რაც წელს ნეაპოლში ხდება. „ნაპოლის“ დიდი გულშემატკივარი ვარ და ჩემმა სახელმა, ალბათ, მიგახვედრათ, რომ მა-



მაჩემიც „პარტენოპეის“ ქომაგი იყო. 1986 წელს დავიბადე და მშობლებმა სახელი დიეგო არმანდო მარადონას პატივსაცემად დამარქვეს.

ჩემს პარტნიორს შევუთანხმდი თუ არა? რა თქმა უნდა. ეს ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. ვფიქრობ, ასეთი საოცარი ფეხბურთელი რომ არ გვყოლოდა, ჩვენი შვილის სახელი მხოლოდ დანიელე იქნებოდა“, - განაცხადა ბიჭუნას მამა არმანდომ.

სხვათა შორის, მან აღნიშნა, რომ ორი ოცნება აქვს: ერთი ხვიჩა კვარაცხელიასთან შეხვედრაა, მეორის მიხედვით კი, „პარტენოპეის“ ქომაგს სურს, მისმა აწ განსვენებულმა მამამ სკუდეტოს მოგების შემდეგ გამართული ზეიმი ზეციდან იხილოს.

ამირან გურიელიძე

# რუს დამპყრობლებში ტყვედ ჩაბარების მსურველთა რიცხვი გაორმაგდა




უკრაინის დაზვერვის მთავარი სამმართველოს მიერ „ტელეგრამის“ პირად არხზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის კონტრიერიშის მოლოდინმაც კი რუს დამპყრობლებში ტყვედ ჩაბარების მსურველთა რიცხვი გააორმაგა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკრაინის უსაფრთხოების და თავდაცვის ძალების კონტრიერიშის მოლოდინი რუსი ოკუპანტების რიგებში „მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის ეროზიას აღრმავებს“.

„უკრაინული სახელმწიფო პროექტის - „ცხოვრება მინდა“ ფარგლებში, 2023 წლის მარტში 3 ათასზე მეტი მიმართვა დაფიქსირდა. ეს ორჯერ აღემატება წინა ყოველთვიურ მაჩვენებლებს“, - განაცხადა რუსი სამხედროების ტყვედ ჩაბარების პროგრამის წარმომადგენელმა ვიტალი მატვიენკომ.

უკრაინული დაზვერვის ინფორმაციით, ოკუპანტების უშუალოდ ბრძოლის ველზე ტყვედ ჩაბარების შემთხვევებიც გახშირდა.

„უკრაინული საკონტრიერიშო ოპერაცია ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მისი ეფექტი უკვე იძლევა შედეგს. რუსი ჯარისკაცის არჩევანი ომის დროს ძალიან მარტივია: ან სიკვდილი, ან ტყვეობა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

## უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე ანდრეი სიბიგას განცხადებით, უკრაინა მზად იქნება დროებით ოკუპირებულ ყირიმთან დაკავშირებით რუსეთთან მოლაპარაკებისთვის, თუ უკრაინის შეიარაღებული ძალები წარმატებულ კონტრშეტევას განახორციელებენ და ნახევარკუნძულის ადმინისტრაციულ საზღვარს მიაღწევენ. „თუ მოვახერხებთ ჩვენი სტრატეგიული მიზნების მიღწევას ბრძოლის ველზე და როდესაც ვიქნებით ყირიმთან ადმინისტრაციულ საზღვარზე, მზად ვიქნებით, გადავშალოთ დიპლომატიური გვერდი ამ საკითხის განსახილველად. ეს არ ნიშნავს, რომ გამოვრიცხავთ ყირიმის ჩვენი არმიის მიერ გათავისუფლების გზას“, - განაცხადა ანდრეი სიბიგამ Financial Times-თან ინტერვიუში. მისი თქმით, ვოლოდიმირ ზელენსკი და მისი თანაშემწეები ახლა განიხილავენ მხოლოდ ასეთ ვარიანტს ოკუპირებული ყირიმის ტერიტორიისთვის.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ პოლონეთს მოუწოდა, გამოიჩინოს ლიდერობა საჰაერო კოალიციაში და უკრაინას თანამედროვე F-16 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების მიღებაში დაეხმაროს. „როდესაც ბრძოლა მოითხოვს არტილერიას, მისი მიწოდება უნდა მოხდეს. როდესაც გამარჯვება ითხოვს ტანკებს, ფრონტის ხაზზე მათი გრუხუნის ხმა უნდა ისმოდეს. როცა დამოუკიდებლობა ჰაერს მოითხოვს, ყურადღება არ უნდა მიაქციოთ, როგორი რეაგირება ექნება რუსეთს ჩვენს თვითმფრინავებზე, არ უნდა იფიქრო, რომელი ნომერი გამოიყურება უფრო უსაფრთხოდ ასო F-ის გვერდით - 16 თუ სხვა. ღირს მოქმედება! იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენმა ხელმძღვანელობამ სატანკო კოალიციაში გამოიჩინა თავი. მჯერა, ის საავიაციო კოალიციაშიც გამოიჩენს თავს“, - განაცხადა ზელენსკიმ პოლონეთში ვიზიტის დროს სიტყვით გამოსვლისას. შეგახსენებთ, პოლონეთმა უკრაინას „მიგ-29“ ტიპის რამდენიმე გამანადგურებელი უკვე გადასცა.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი მიიჩნევს, რომ უკრაინაში ომი, შესაძლოა, წელს დასრულდეს. მისი თქმით, ეს არის დასავლური სამყაროს რესურსების ომი რუსების რესურსების წინააღმდეგ. „რუსების რესურსები მცირდება, ჩვენიც, მაგრამ გვაქვს „რამშტაინის“ კლუბი, როგორც მე მას ვუწოდებ და ის ნატოზე დიდია, 50-ზე მეტ ქვეყანას უკვე სურს ჩვენი გამარჯვება, მასში ინვესტირება და მიაჩნია, რომ ეს რეალურია. ამიტომ, ეს არის დასავლური სამყაროს რესურსების ომი ორკების რესურსების წინააღმდეგ“, - განმარტა თავდაცვის მინისტრმა უკრაინულ მედიასთან საუბარში. მისი თქმით, ეს ომი დიდხანს ვერ გაგრძელდება „ინფორმაციული კომპონენტის“ გამო, რადგან მსოფლიომ იცის ბუჩაში, იზიუმში, მარიუპოლსა და სხვა ქალაქებში რუსეთის ფედერაციის მიერ ჩადენილი სისასტიკის შესახებ. „რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ ეს ომი საერთოდ არ დაწყებულიყო, მაგრამ მე პირადად მჯერა, რომ ეს წელი გამარჯვების წელია“, - განაცხადა ოლექსი რეზნიკოვმა.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის სარდლობის პრესსპიკერ სერჰი ჩერევატის განცხადებით, უკრაინა ბახმუტში ვითარებას აკონტროლებს. ჩერევატიმ Reuters-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსულ ძალებს ზოგ ადგილებში ტაქტიკური წარმატება აქვთ, მაგრამ ეს ძვირად უჯდებათ. მანამდე, გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსული ძალები, დიდი ალბათობით, ბახმუტის ცენტრისკენ დაწინაურდნენ და მდინარე ბახმუტკას დასავლეთ სანაპირო დაიკავეს, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის უკრაინის მომარაგების მთავარ მარშრუტს ქალაქის დასავლეთით.

* * *

უკრაინა აფასებს ბრაზილიის პრეზიდენტის ძალისხმევას რუსული აგრესიის შეჩერების მიზნით გამოსავლის ძიებაში. ამავდროულად, მკაფიოდ უნდა აღინიშნოს: უკრაინა თავისი ტერიტორიებით არ ვაჭრობს, - ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული. უწყება ხაზს უსვამს, რომ არ არსებობს არც ერთი სამართლებრივი, პოლიტიკური ან მორალური მიზეზი, რის გამოც უკრაინამ თუნდაც ერთი სანტიმეტრი ტერიტორია უნდა დათმოს. „უკრაინაში მშვიდობის აღდგენის მიზნით გაწეული ნებისმიერი შუამავლობა უნდა ეფუძნებოდეს უკრაინის სუვერენიტეტის პატივისცემას და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის სრულ აღდგენას გაეროს წესდების პრინციპების შესაბამისად“, - აღნიშნულია განცხადებაში. შეგახსენებთ: მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიო ლულა და სილვამ უკრაინას ომის დასრულების მიზნით ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთისთვის დათმობა შესთავაზა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების გამართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკრაინის პრეზიდენტმა უნდა მიიღოს. „მხოლოდ პრეზიდენტ ზელენსკის შეუძლია განსაზღვროს, მზად არის თუ არა და როდის არის მზად მოლაპარაკებისთვის, რა კონტექსტში და რის შესახებ. მიგვაჩნია, რომ უკრაინის გარეშე უკრაინის შესახებ მოლაპარაკებები არ შეიძლება“, - განაცხადა თეთრი სახლის სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ კირბიმ. აღნიშნული განცხადება მან გააკეთა მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ, რომ უკრაინული მხარე, გარკვეული პირობებით, მზად არის რუსეთის ფედერაციასთან ყირიმთან დაკავშირებით მოლაპარაკებები აწარმოოს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჲქარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/04/23, 20 55 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# სპორტის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა

*ბათუმის მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლემ მასობრივ სპორტულ ღონისძიებას უმასპინძლა, რომელშიც აჭარის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტიდან 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ღონისძიება სპორტის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა, რომელიც, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყოველ 6 აპრილს აღინიშნება*

ჩატარდა შეჯიბრებები სპორტის ოთხ სახეობაში - ბადმინტონი, ხელბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი. საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირმა ნიჟარაძემ, მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლის დირექტორმა შოთა დავითაძემ, აჭარის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი თურმანიძემ დააჯილდოვეს. ღონისძიების ყველა მონაწილეს სერტიფიკატები გადაეცა.




როგორც აჭარის ბადმინტონის ფედერაციის პრეზიდენტმა მალხაზ მურვანიძემ გვითხრა, სპორტის ამ სახეობაში შვიდი სხვადასხვა სკოლის 40-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. საპრიზო ადგილზე გასულ მოსწავლეებს სიგელებთან ერთად, ფასიანი საჩუქრებიც გადაეცათ. პირველ ადგილზე ერთეულთა თანრიგში თათია დიასამიძე გავიდა, მეორეზე - არიადნა არუთუნიანი, მესამეზე - ქეთი გათენაძე. ვაჟებში პირველ ადგილი დაისაკუთრა რაფაელ ოვანესიანმა, მეორე - საბა ბაბიაშვილმა, მესამე - ნიკოლოზ გორდინსკიმ.

აჭარის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ ურუშაძემ ყველას, მათ შორის, ვეტერანებს, სპორტის საერთაშორისო დღე მიულოცა. ამ დღესთან დაკავშირებით მინიხელბურთის ფესტივალი მოეწყო, რომელშიც სხვადასხვა სკოლის ის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, რომლებიც სპორტსკოლის ნაკრებში შედიან. პირველი ადგილი დაისაკუთრა გოგონათა გუნდმა „ოლიმპი“, მეორე - „მართვემ“, მესამე - „ვარსკვლავმა“. სულ 32 ბავშვი თამაშობდა. წარმატებით ასპარეზობენ აჭარის ნაკრების უფროსი ხელბურთელები. ბიჭების ორივე გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშობს. ერთი პირველ ადგილზეა, მეორე ოთხეულს ლიდერობს. რაც შეეხება ქალთა გუნდს, ეროვნულ ჩემპიონატში მეოთხე საპრიზო ადგილზეა და საჩემპიონო ოთხეულისთვის ემზადება. უმაღლესი ლიგის პირველმა ექვსეულმა თამაშები მამაკაცთა შორის გუშინ დაიწყო, უმაღლესი ლიგის მეორე ქვე „ბ“ ჯგუფის ოთხეული კი თამაშებს დღეს დაიწყებს.



ამჟამად სენაკში მიმდინარეობს 2008-2009, 2006-2007 წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონატი. ამას გარდა, საქართველოს 19-წლამდელები (ბიჭები) ევროპის ინტერნაციონალურ თასზე თამაშობდნენ და ევროპის ზონაში პირველი ადგილი აიღეს, საკონტინენტო თასზე ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. ისინი ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებენ ხორვატიაში, ზაგრებში.

როგორც აჭარის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ვაჩეიშვილმა აღნიშნა, მძლეოსნური გარბენი 60 მეტრზე სპორტის სასახლეში ჩატარდა. გამარჯვებული სამი გოგონა და სამი ვაჟი სპორტის სასახლეში ვარჯიშობს. სულ გარბენაში 45 სპორტსმენი მონაწილეობდა, პირველ ადგილზე გიორგი გიუვენი გავიდა, მეორეზე - მერაბ ლატარია, მესამეზე - მათე მგელაძე. გოგონებში პირველი ადგილი არავის დაუთმო საქართველოს ნაკრების წევრმა ნინო გოგიტიძემ, მეორეზე - ლუიზა შენგელია, მესამეზე - მარი ხოზრევანიძე გავიდნენ.

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სალომე მელიამ გვითხრა, რომ სპორტის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ღონისძიებაში ნორჩი მოჭადრაკეებიც ჩაერთნენ - 16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. მასში მონაწილეობა მიიღო აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან 73-მა მოჭადრაკემ. გამოვლინდა სამ-სამი გამარჯვებული გოგონათა და ჭაბუკთა შორის. პირველი ადგილი ჭაბუკებში გიორგი გოგიაშვილმა დაიკავა, მეორეზე მისი ძმა დემეტრე გოგიაშვილი გავიდა, მესამეზე - ალექსანდრე ვასაძე. გოგონათა შორის პირველი ინეზა ართმელაძე იყო, მეორე - ლანა დარახველიძე, მესამე - ნინო ნაკაშიძე.

- დღეს ჩვენთვის, ვინც სპორტის სამსახურში ვართ, ძალიან ემოციური დღე იყო. 6 აპრილს მთელი მსოფლიო აღნიშნავს სპორტის საერთაშორისო დღეს. იგი გაერომ იმიტომ დააფუძნა, რომ სპორტი მშვიდობისა და ჯანმრთელობის ძალიან სერიოზული სოციალური ინსტრუმენტია, სპორტს შეუძლია დააახლოვოს და დაამეგობროს ქვეყნები და განამტკიცოს მოსახლეობის ჯანმრთელობა. წელს ცოტა განსხვავებული ფორმატით აღვნიშნეთ, რადგან მოგვეცა საშუალება, გამოგვეყენებინა ის სივრცე, რომელიც ააშენა აჭარის მთავრობამ, კერძოდ, ეს სპორტის სასახლე. აქ 12 სავარჯიშო დარბაზია, ერთიც - უნივერსალური. ეს დარბაზები გამოვიყენეთ მოსწავლეებისთვის და ესეც გამიზნულად, რადგან გვსურს სკოლებში უფრო დაინტერესდნენ სპორტით. დღეს ახალგაზრდები რთული გამოწვევების წინაშე არიან და სპორტი კარგი ალტერნატივაა სოციალური ჩართულობისთვის, - თქვა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ.

# მარიამ ცეცხლაძის წარმატება



თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში 8, 12, და 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის.

ტურნირი ფიდეს წესებით, 9 ტურად გაიმართა. სამივე კატეგორიაში 100-ზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა. აჭარიდან ორი სპორტსმენი ასპარეზობდა - მარიამ ცეცხლაძე (16 წლამდე ასაკობრივში) და ანეტა ქედელიძე (12 წლამდე).

აღსანიშნავია, რომ მარიამ ცეცხლაძემ (მწვრთნელი დავით მაღალაშვილი) სწრაფ ჭადრაკში 9-დან 7 ქულა დააგროვა და ვერცხლის მედალს დაეუფლა, ხოლო ელვისებურ ჭადრაკში 9-დან 8 ქულით ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

# სპორტული სიახლეები

სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხელვაჩაურის რესურსცენტრის ორგანიზებით, სოფელ სალიბაურის №1 სკოლაში მუნიციპალიტეტებს შორის „მხიარული სტარტები“ ჩატარდა. ღონისძიებას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი დაესწრო და გამარჯვებულ გუნდებს სერტიფიკატები გადასცა.

თბილისი ბატუტზე ხტომაში საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობდა. წარმატებით იასპარეზა იოანე დოლიძემ, რომელიც 5/5-ზე პროგრამით ვერცხლის მედალს დაეუფლა. ჭაბუკთა II თანრიგში მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ სანდრა ღლონტი და ანასტასია დუმბაძე. ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს სინქრონულ ხტომებში ნინო უსუბიანმა და ნია კიკაბიძემ, ხოლო დიანა ფოთელიძე და ქეთევან ჯანჯღავა ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ. გუნდურ ჩათვლაში ბათუმის გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. ვულოცავთ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელს ლალია ასკეროვას ამ წარმატებას და მორიგ წინსვლას ვუსურვებთ.

მხატვრულ ტანვარჯიშში, 2016 წელს დაბადებულთა შორის, B კატეგორიის პროგრამით, 2023 წლის მარათონის გამარჯვებული ბათუმის სპორტის სასახლის სპორტსმენი მარიამ ჯიბუტი გახდა (მწვრთნელი - ლია კვირიკაძე).

2023 წლის საქართველოს ჩემპიონატს მოსწავლე მოკრივეთა შორის, ტრადიციულად, მარნეულის მუნიციპალიტეტი მასპინძლობს. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს აჭარის ნაკრები, რომელსაც ფინანსური დახმარება სპორტის დეპარტამენტმა გაუწია. საქართველოს ჩემპიონატი გუშინ დაიწყო და იგი მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლისა და საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, მარნეულის „აზერბაიჯან ჰაუსის“ სპორტულ ცენტრში 12 აპრილამდე გასტანს. საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში მოსწავლე მოკრივეთა შორის 2009-2010 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობენ. ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორები დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და შესაბამისი ხარისხის მედლებით. ჩემპიონატზე გათამაშდება მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის დამფუძნებლის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ თენგიზ ნავერიანის სახელობის თასი, რომელიც გადაეცემა საერთო გუნდურ ჩათვლაში, საუკეთესო შედეგის მქონე გუნდს.

შვედეთის ქალაქ გიოტებორგში დასრულდა ევროპის 2023 წლის ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში, რომელშიც კონტინენტის 32 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად წარმატებით იასპარეზეს მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის სპორტსმენებმა: მამაკაცთა შორის 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში მინდია მგელაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ 75 კგ წონით კატეგორიაში გიოტებორგის „Partille Arena“-ს ცენტრალურ ტატამზე ქართული ფინალი გაიმართა, რაც კონტაქტური კარატეს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა - ერთმანეთს დაუპირისპირდა მსოფლიოს მოქმედი ბრინჯაოს პრიზიორი დავით მსხალაძე და ევროპის სამგზის ჩემპიონი



ლაშა ოზბეთელაშვილი. ფინალური ორთაბრძოლა დრამატულად წარიმართა და საბოლოოდ, დავით მსხალაძე (მწვრთნელი - ლევან ცინცაძე) ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზი რაპირით ფარიკაობაში, 23 წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობდა. ჩვენი სასახლის აღსაზრდელებმა ანანო ჯინჭარაძე ვერცხლის, ხოლო ირაკლი მიქელაძე ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ვულოცავთ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს თინიკო ბოლქვაძეს და ბიჭიკო საფარიძეს ამ წარმატებას და წინსვლას ვუსურვებთ!

**გვერდი მოამზადა მანანა ძიძიშვილმა**